

სასოფლო-ეკონომიკური გაზეთი



გაზეთის ფასი:

გაზეთით ტფილისში	ბათუმ-გენერალთა:
და გარეშე ადგილებში:	მან.
პირთის წლისა — 7 მან.	— 6
ხანგრძლივი წლისა — 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

ბამალის სამშაბათობით.

ხელი-სამოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო-ეკონომიკური“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაიის სახლში, პოლიციის გვერდით.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწერა: Въ Тифлисе, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Мелікова и К^о.

შველ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 22. სამშაბათი. I. 30 ივლისს 1868 წ.

შინაბარსი: მანცხადება.— რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.— საღმრთო ისტორია.— ბრიგადე იუნგის ქადაგება.— საოჯახო ცნობები.— ხბორების აღზრდა საფრანგეთში.— აგუაჯი ხოხე.— აბრეშუმის ქვის ავადმყოფობის განხილვა.— პრით-მეტეია.—

განცხადება

შრომჩილესად ესთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოაუტანიათ ამ წლის „სასოფლო-ეკონომიკური“ ფასი, მალე წარადგინონ უფლის ნაჩაღნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ექვსი მანეთია.

რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.

1. აღიკრძალვის იმისთანა საქონლის ხმარება, რომელთაც ავადმყოფობა ეტყობათ, რამე ასო აქვს წამხდარი, იარაგები აქვს, ან კოკლობენ.
2. ნება არა აქვს არაიის სცემოს საქონელს ხმელი ან მწვეტი რაბით (კეტით, ჯოხით და სხვ.), ხოლო თავში და მუცელში ცემა სრულებით აღიკრძალება.
3. აღიკრძალვის ურმის ან პოასკის ძა-

ლიან დაბარგება, რომელიც აშკარად ეტყობა, რომ არ შეჭვრის საქონლის ღონესა და გზის მდგომარეობას (სიკუდეს და სხვ.).

4. არაიის არ მიეცემა იმისი ნება, რომ ურმით ან პოასკით, გინდ ცარიელი იყოს, გინდ დაბარგებული, ქალაქის ქუჩებზე კენებით იაროს, უმეტესად თუ მძიმეთაც არის დაბარგებული.

5. აღიკრძალვის ცხენის გამობმა დაბარგებულ ურემსა ან პოასკის უკან იმ შემთხვევაში, თუ ურემში ან პოასკაში შებმული საქონელი ძლივსა ჰხიდავს თავის ბარგსა.

6. ნება არა აქვს არაიის, რომ ხბორები ან სხვა წერილი რამე საქონელი წვალებით მიჰყვანდეს სადმე, ესე იგი ურემზე ან პავოსკაზე და ცხენებზედაც ისე არ უნდა დააკრან წერილი საქონელი, რომ ერთმანეთზე მიტყუპებულნი იყვნენ, აგრეთვე თავი დაკიდული არ უნდა ჰქონდეთ და სიარულის დროს თავს არ უნდა ახლიდნენ რასმე; ამასთან მეურმეს ან მევაფოსკეს არა აქვს ნება ურემზე, ან პავოსკაზე დაწყობილ ხბორებს, ან სხვა საქონელს ზედ დაჯდეს.

7. შებმული ცხენი ან სხვა საქონელი რომ წაიქცეს აღიკრძალვის მართაბით, ან სახრით იმისი აყენება; მაშინ უნდა ეცადნენ, რომ ხელით ააყენონ, და თუ ხელით ვერ ააყენეს— უთუოდ უნდა გამოუშვან და ისე ააყენონ.

8. საზოგადოდ აღიკრძალვის ყველა გვარი წვალება ცხოველთა, რომელიც უნდა იყოს, ან იმათი სასტიკად მოაპრობა.

ქველა პოლიციის მსახურთ ვალად ადევსთ

ბეჭეითი ყურადღება იქონიონ ამ ზემო აღნიშნული წესების აღსრულებაზე და სრული შემწეობა აღმოაჩინონ ცხოველთ მფარველობის წევრთა ამ წესების დამრღვევთ წინააღმდეგ.

მინც ამ წესებს დაარღვევს, ის უნდა შეიპყრას და წარადგინოს პოლიციაში, სადაც მოეპყრობინ იმას დასჯაზე შესდებათ 29 მუხლის ძალით, რომელსაც განუჩინებენ მომრიგებელნი მოსამართლენი.

საღმრთო ისტორია.

3. ძმის კელია.

ადამის პირმშო (უფროს) შეიღს ძაენი ერქვა და უმცროსს კი აბელი. ძაენი იყო ქვეყნის მოამქმედი (მხენელ-მთესველი), ხოლო აბელი—მწყემსი ცხოვართა. მართხელ ორთავე ძმებმა ღმერთს შესაწირავი მიუტანეს: ძაენმა მიწის მოსაღლისაგან მიუტანა და აბელმა კი ჩრეული პირმშოთაგანი ცხვარი. ღმერთმა აბელის შესაწირავი შეიწყნარა, ძაენისა კი უგულვებელ ჰყო; ამიტომ რომ აბელმა თავის შესაწირავი სარწმუნოებით შესწირა, ძაენის გულში კი შური და უშინდღურება იყო ჩანერგილი. მაშინ ძაენმა ძალიან მოაწყინა და თავის ძმაზედ გულში ბოროტი განიზრახა: ამისთვის ღმერთმა უთხრა ძაენს: „რისათვის მოაწყენილ, გულმწყურებ ხარ და რისთვის შეგვეცლა შენ სახე? შეყოდე რამეთუ ცოდვა მოგიახლოვდა შენ; გარნა ეცადე არ შე-

უშო შენადმდე.“ მაგრამ კენმა არ შეისმინა ეს უფლის მხილვა, გაიყვანა თავისი უმცროსი ძმა მინდორაზე და იქ მოკლა.

მაშინ ლმერთმა უთხრა ძაენს: „სად არს ძმა შენი აბელ?“ ძაენმა მიუგო: „მე არ ვუწყვი, ნუ თუ მცველი ვარ ძმისა ჩემისა?“ ამაზედ ლმერთმა უთხრა: „რა ჰყავ შენ ეგე, რამეთუ ხმა სისხლისა ძმისა შენისა ჰღალადებს ჩემდამო ქვეყნით! და აწ წყეულ იყავ შენ ქვეყნისაგან, რომელმან განიღო პირი თვისნი შეწყყარებად სისხლისა ძმისა შენისა. ამისთვის რაც უნდა იზრამო, ნაყოფისაგან შრომისა შენისა არაარ ირგო. იწროებით და ძროწოლით იყო ქვეყანასა ზედა“. მაშინ ძაენმა უთხრა ლმერთს: „უფროს არს ცოდვა ჩემი მოტევებისა ჩემისა; და უკეთუ განმაქე მე პირისაგან ქვეყნისა—პირველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე“. უფალმა მიუგო: „არა“ — და დასდვა ძაენს ნიშანი, რომ არავის მოეკლა იგი.

მაშინ ძაენი თავის ცოლით განშორდა უფალს; ამას შემდეგ მალე დაებადა იმას შეილი მნოქი. ძაენმა ქალაქი ააშენა და სახელად თავის შეილის სახელი მნოქი დაარქვა.—ადამასც მისცა უფალმა ნუგეშინის საცემელად მეორე შეილი, რომელსაც ადამმა სეთი უწოდა. ადამი მაშინ ორას ოცდაათის წლისა იყო. ამას შემდეგ ადამმა შეიდასი წელიწადი კიდევ იცოცხლა და კიდევ მრავალი შეილები ყოლა—ქალბებიც და ვაჟებიც. ბოლოს—ცხრა ას ოცდაათის წლისა რომ შესრულდა—ამ ქვეყნიდან მიიკვალა.

4. წ ა რ დ ე ნ ა .

ადამის შთამომავლობა ძალიან მრავლდებოდა ქვეყანაზედ. ამის მიზეზი პირველი კაცების მრავალვაშიერი სიცოცხლე იყო. ზოგიერთი მათგანი სცხოვრობდნენ რვა ასწელიწადს და მეტსაც; ყველაზედ ბევრი ხანი ქვეყანაზედ მათესლამ იცოცხლა; ეს როცა მოკვდა ცხრა ას სამოცდაცხრა წლისა იყო.

მაგრამ რამდენიც ხალხს ემატებოდა—იმდენი ქვეყანაზედ ბოროტებაც მრავლდებოდა. ძაენის ბიჭიერმა შთამომავლობამ თავისი უწმინდურება გესლივით მოსდვა სეთის უბიწო შთამომავლობას; მაშინ ხალხი მხოლოდ ბოროტებაზედ და ფუქრობდა და თავის დამბადებელი ლმერთი დაივიწყა. მაშინ ლმერთმა სთქვა: „მერე შეითვისებს სული ჩემი ნათესავთა აბას; ვინადღან შეიქმნენ ესენი ხორციელი მოთხოვნილები მიმდევარნი. კიდევ და-

ვაცდი ამთ ას ოც წელიწადს და შემდეგ შემუსრავ დედამიწაზედ ყველა დაბადებულს, რომელი შევექმენ.“

ყველა დაბადებულებში მარტო ნოემ მოიბოვა უფლის წყალობა, რადგან ის იყო კაცი კეთილი და სცხოვრებდა ნებისა მებრღეთისა. ამისთვის ლმერთმა უთხრა მას: „ბაიკეთე კილობანი, რომელსა უნდა ჰქონდეს სამასი წურთა *!) სიგით, ორმოცდაათი სიგანით და ოცდაათი სიმალით; და იყოს ოთახებულად გაყოფილი. მე მოვიყვან წარდენას ქვეყანაზედა. შენ შედი კილობანში მთელი შენი სახლობით, შეიყვანე თან ყველა გვარი მხეცი თითო წყვილი, რომ იმათი თესლი არ მოისპოს ქვეყანაზედ; აგრეთვე შეიტანე თან ყველა გვარი საქმელი, რომ შენც და იმათაც გქონდესთ ვიდრემდის მორჩება ზღენა იგი.“

ნოე ექვსასი წლისა იყო, როდესაც შევიდა კილობანში და წარდენის ღვარამა დაიწყო დენა ქვეყანაზე. მაშინ მოევშენნ ყველა წყაროები მიწისანი და ცისანი, დაიწყო დენა წვიმამ და იდინა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. წყალმა ატიტიტევა კილობანი და დაუწყო მას ტარება; რამდენიც ღრო გალიოდა—იმდენი უფრო ემატებოდა წყალი და ბოლოს დაჰფარა ყველა მთები და ტყეები. მაშინ ყველა დედამიწის სულიერი დაიღუპა; დარჩა მხოლოდ ნოე და კიდევ ვინც იმასთან იყვნენ კილობანში.

მაიდა ას ორმოცდაათი დღე მას აქეთ, რაც ნოე კილობანში შევიდა; წარდენის წყალი მაინც ემატებოდა. ბოლოს სულ ყოველი ფერი დაჰფარა წყალმა და თვით უჩაღლესი მთების წვერებზედაც თხუთმეტი წურთით ზევით ავიდა. მაშის ლმერთმან შერწყალნა წარდენისაგან გადარჩენნი თვისნი ქმნულგებანი, დააქროლა დედამიწაზედ ქარი და ამით შესწყვიტა წარდენა. წყალმა დაიწყო ძირს და კილობანი პრაიატის მთის წვერზედ დადგა. მრით თვე რომ კიდევ გავიდა; მაშინ მთის წვერებიც გამოჩნდნენ. ამას შემდეგ რომ ორმოცი დღე გავიდა, ნოემ გააღო კილობანის ბანის ფანჯარა და ყოჩანი გამოუშო იქიდან, იმიტომ რომ გაცგო გამშრალიყო მიწა, თუ არა? მაგრამ ყოჩანი აღარ დაბრუნდა კილობანში, შემდეგ ნოემ გაუშვა მტრედი, რომ-

*) წ ყ რ თ ა — სიგეა ნიდავიდენ თითის ბოლოე ბამის.

მელიც ისევე უკან დაბრუნდა, შევექმნე მწაზედ მშრალი ალაგი ვერსად იმგნენს სამს შემდეგ შევიღმა დღემ რომ გაიარა, ნოემ კიდევ გაუშვა მტრედი; ეს მტრედი დაბრუნდა უკან და თან მოიტანა ნისკარტით ნორჩი ფოთლიანი ზეთის ხილის რტო. კიდევ შევიღმა დღემ რომ გაიარა, ნოემ ხელახლად გაუშვა მტრედი; ეს კი აღარ დაბრუნებულა უკან. მს მოხდა პირველი თვის პირველ დღეს. მაშინ ნოემ ახალა ბანი თავის კილობანს და ნახა რომ დედამიწაზედ ღვარი აღარ იდგა. მაგრამ იმან შანც ვიდევ მოიკადა კილობანში მეორე თვის ოცდა შედ დღემდის, მანამ მიწა სრულებით არ გაშრა; მაშინ ლმერთის ბრძანებით ნოე თავის სახლობით გამოვიდა კილობანიდან და გამოასხა თან ყველა ცხოველები. მხოლოდ ნოეს უპირველესი საქმე ის იყო, რომ მადლობის მსხვერპლი შეეწირა უფლისთვის. უფალმა შეიწყნარა ნოეს შესაწირავი, და უთხრა: „აღარა შევიძინო მერმე წყევდ ქვეყნისა საქმეთათვის კაცთასა; არღარა შეესძინო უკვე მოსპობვად ყოველის ხორცისა ცხოველისა, ვითარცა ვყავ. და ყოველთა დღეთა ქვეყნისათა თესვა და მკა, ზამთარი და სიცხე, ზაფხული და არე, დღე და ღამე არა მოაკლდენ“. ლმერთმა აუკრთხა ნოე და დადვა მასთან აღთქმა, რომლის ნიშნად მისცა შეილ ფეროვანი შეილდი ცისა (ცისარტყელი), და უთხრა: „აჰა ნიშანი აღთქმისა, რომელიც მე დავდ ჩემ შორის და შორის ყოველთა კაცთა ქვეყანასა ზედა მცხოვრებთა.“

ბ რ ი გ ე მ ი უ ნ გ ი ს 1) ქ ა დ ა გ ე ბ ა .

ბქ მოგვეყავს „შევრთებული შტატების“ მონაშობიამ ქალაგება, თქმული მორამონის ტა-

2) შე ვ რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი — ქვეყანაა ამერიკაში.—ამერიკა—მთელი ხმელეთის მეხუთე ნაწილისა ჰქვიან, რომელშიაც რამდენიმე სახელმწიფოები და თემებია. (სხვათა შორის—შევრთებული შტატებიც).

1) ბრიგემ იუნგი არის ახლანდელი წინასწარმეტყველი მორამონებისა. ის არის ესლა სამოცდა რვა წლისა, მერამონტის შტატშია დაბადებული; მამა მისი იყო კარგი მუშა კაცი და თვითონ ისიც ოცდა ოთრმეტ წლამდის მიწას მუშაობდა. იოსებ სმიტმა რომ სარწმუნოება დააფუძნა, ბრიგემ იუნგი გახლა იმის მოწაფე. ამ სარწმუნოების აღმსარებელთა ერქვათ: „წმინდანი უქანსენდისი ჭმისა“. როცა ილიინოისებზედა სმიტი

ძარში ჯ პირის ბირგემ იუნგისგან. მს ქა-
დაგება ძალიან კარგით ხატავს იქაურ საქმის
მდგომარეობას.

„მე უნდა მივსტე ღარიგება საქარწინედ მო-
მაზადებულთ ახალ ხალხთა ისრაილისათა და
ამიტომ ვეუბნები მათ: ყველა მათგანი დაქო-
რწინდეს იმ ერთ-ერთ ჩვენ დაზედ, რომელიც
თითონ ამოუტრევიდა, ყველამ შევიშუაოს მიწა,
გააშენოს ეენახები და ბოსტნები და ღარგას
ბლომით თუთის ხეები. მს არის ჩემი რჩევა
იზრავლის ახალ ხალხთადმი. თქვენც დანო,
ამას გირჩევთ: თუ თქვენგანმა ვინმემ არ იცის
ძროხის მოწველა, ისწავლოს ეს ხელობა,
რომელიმაც არ იცის ფრინველების მოვლა
აგრეთვე ეს ხელობაც უთუოდ გაიკეთოს,
და როდესაც თქვენი ქრმის მეურნეობას და
სახლის პატრონობას ჩაიდებთ ხელში, ეცა-
დეთ, რომ თქვენი ქრმის ოჯახობა გაამწე-
ნიეროთ თქვენის ყაირათით, რიგის მიცემით
და სისუფთავით. სახლის გარშემო ყვავილები
ღარგეთ და ქრმებსაც ჩაგონეთ, რომ იმათაც
ღარგონ ისეთი ხეები, რომლებიც ჩრდილსა

მოკლეს ახალი სარწმუნოების მიმდევართა ამოიჩინეს
ბრიგემი თორმეტის მოციქულის უფროსათ. რადგან
ახალი სარწმუნოების მიმყოლთ ძალიან სდევნიდნენ
ილინოისის შტატში, ამისთვის ბრიგემმა გამოუტანა
თავის სარწმუნოების ხალხს გასლა სხვა ქვეყანაში.
რადგან მომზინები (ახალი სარწმუნოებისანი) რიცხ-
ვით ძალიან ბევრი იყვნენ, ამისთვის იმათი მგზავრო-
ბა თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა. ამ მგზავრო-
ბაში ბევრი გაქირება გამოცადეს და ბოლოს
ათას რვაას ორმოცდ შვიდს წელს მიადდნენ ერთს
მლაშეს ტბას ქალიფორნიასა და ორგონს შუა და
მშვენიერს ხეობაში დაბინადდნენ. ბრიგემმა იქ და-
აუფნა ერთი ქალაქი და უწოდა „ახალი სიონი“. **თ**
ტერამეტის წლის წინათ ამ ქალაქში ითვლებოდა რვა
ათასი მცხოვრები. იქ ბრიგემმა ერთი შკოლა გახსნა,
აბანოები, საზოგადო შენობები, ერთი ციხე, ერთი დი-
დი განიერი ზაღა, სადც ხალხი უნდა შეიკრიბოს ხო-
ლმე და ერთი ტაძარი. მორწმუნების უმთავრესნი მცენ-
ხანი აი ეხენ არიან: იესო ქრისტე სწამთ, la repen-
tir, ნათლა აქეთ წინა დაცევით, სული წმინდის
გარდამოსვლა სწამთ ხელდასხმითა, სწამთ წმინდა
კრება ახალს იერუსალიმში, აგრეთვე აღდგომა მკედ-
რითი და საშინელი სამსჯავრო.

იმათ წესათ აქეთ დადებული მრავალ-ცოლიანობა.
ტერამეტის წლის წინათ ოცდა ათი ათასი მორწმონი
ირიცხებოდა.

და ნაყოფს მოგიტანთ. **თუ** ცოლები შეეწე-
ვიან თავიანთ ქრმებსა, თუ ისინი იზრუნენ,
რომ სახლის შემოსავალს მიემატოს და ამა-
სთან ყაირათსაც გასწევენ, მაშინ სიმდიდრე
თავის თავად ეწვევა იმათ. აბა წარმოიდგი-
ნეთ თუ რა გვარ კმაყოფილებას იგრძნობთ
მაშინ, როდესაც ღარწმუნებულნი იქმნებით,
რომ ყველა, რასაცა ჰყოლობთ, სულ თქვენი
შრომის და ყაირათის ნაყოფი არის. **თქვენ**
ქრმებსა სთხოვეთ ჩალო და იმისგან დაიწინათ
თქვენთვის ქუდები, რომ ცხარე მზის სხავე-
ბმა არ გაენახოს. მე ძალიან მსურს სიცოც-
ხლე, რომ ენახო ამ ხალხის კეთილ დღეობა
და რა უფროა სასურველია ჩემთვის—ეგება
იმ დღესაც მოვესწვრო, როდესაც ჩვენი დები
თვითონ დაიწყებენ რიგინად შეიღობის აღზ-
რდასა და განათლებას. დილით რომ აღდგენ
ლოგინიდან თქვენი შეიღობი, ნუ გაუშვებთ
რომ გარეთ ცივი წყლითა და ტლაქი სახ-
ნით პირი დაიბანონ და პირსაც მსხვილი ტი-
ლო თი ნუ შეაწმენდნებთ, თორემ მსხვი-
ლი ტილოპირის კანს ხეხავს და ახდენს; აი-
ღეთ რბილი რამე თივითის ნაჭერი, ნელა
გადაუსვით პირზე და შემდეგ წმინდა პირსა-
ხლით შესწმინდეთ ხოლმე. მუღამ გოქის ხო-
რცის მაგიერად ახალი რძე და კარგი პურის
ნაჭერი მიეცით ხოლმე საუზმედ, აგრეთვე
რამდენიმე შემწვარი კარტოფილი კარაქით,
თუ რომ ემაწვიოს ხილი უყვარს, ისიც აჭა-
მეთ ცოტა, აგრეთვე ბრინჯეული საქმელიც
აქამით ხოლმე. ბრინჯეული საქმელი ემაწვი-
ლებითვის ძალიან მარგებელია, და ჩემთვის
ძალიან სასიამოვნოა იქნება, რომ ყველა ძმე-
ბთავანმა მოიყვანოს თავის მინდორში ეს
მცენარე. ჩვენი ნიადაგი ძრიელ კარგია ბრი-
ნჯის მოსაყვანად. **თუ** ბრინჯის მოყვანას მი-
ჰყოფთ ხელს, მაშინ თქვენ მოიპოვებთ სიმ-
დიდრეს და დამოუკიდებლობას. იმაზედაც იზ-
რუნეთ, რომ თქვენი შეიღობი მოსაწინები
და ღამაზები იყვნენ, მზეზედ ნუ ატარებთ,
რომ არ გაიტრუსონ და აქაურ მთების ბუნე-
ბით მცხოვრებებს (ზანგებზედ ამბობს, მდა-
ბიურად რომ არაბებს ეძახიბთ ჩვენში) არ
დაემსგავსნენ. ჩვენმა დებმა კი თვითონ იზ-
რუნონ თავიანთ თავზე და თავიანთ სილამა-
ზებზედ. ემაწვილებს ცხერების მოსაყვანებლად
ნუ გაგზავნით, რადგან მზეზედ იტრუსებიან
და ჯოჯოხეთის მამხალას დემსგავსებიან ხო-
ლმე. აბრეშუმის კეთებას მიჰყავით ხელი. ჩე-

ნი ნიადაგი ძალიან კარგია თუთის ხეებისთვის,
რომლების ფურცლებიც აბრეშუმის ქვის სა-
ქმელად იხმარება. მთელ ხმელეთზედ არც
ერთ მხარეში არ არის ასეთა მარგებელი ნია-
დაგი და ჰვერი ამ ხელობისთვის, როგორც
ჩვენში. **თუ** ვინცააბა როგორმე დაიწყებთ
ამ ხელობას, თქვენ შეიძინებთ სიმდიდრეს და
დამოუკიდებლობას (თავისუფლებას). შევლამ
უნდა გადასდოს აბრეშუმის გასაკეთებ-
ლად რამდენიმე თავის მიწის ნაჭერი,
უსაქმო ემაწვილებს და შეუძლოა მოხუცე-
ბულებს მიანდოს ფურცლის მოკრეფა და ჰი-
ნების კვება. მს არც დამალაგია და ამასთა-
ნავე სასიამოვნოა შრომაც არის. აბრეშუმის
დაყიდვა, რომლის გულისთვის სავაჭრო აღვი-
ლი უნდა გააკეთოთ, ყველა საქართველოში
უხვად დასაჩუქრებს აქაურებს; და თუ ეს
უძვირფასესი საშუალება (წყარო) ვრ ჰქონდეთ,
მაშინ ძალიან სიღარიბეს გამოცილდენ ისენი.
ქარგათ რომ მოუაროთ აბრეშუმის გამოსა-
ყვანად 30-40 დღე მეტი არ მოუნდება. **თუ**
რომ მე ვერ დავარწმუნებ ჩვენ დებს და
ძმებს, რომ აბრეშუმის მოყვანას ხელი მიჰ-
ყონ, მე იძულებული ვიქმნები მოუწოდო ჩი-
ნელები (კიტაელები) და ჩავაბარო ეს ხელო-
ბა. წადით და იზრუნეთ თუთის ხეების და
აბრეშუმის ქვის მოვლაზედ. **თუ** თქვენგანს
ვისმე არ უნდა ეს ხელობა, იმან მოამზადოს
ჩალის ქუდები, სწნას გოდრები და სხე.

ბათიცებთ შრისტეს, თავი დაანებეთ
ოქროს ძებნას, და ღმერთსა ეთხოვე, რომ
ოქრო აღარ აღმოჩნდეს ამ მხარეში. ოქროს
ძებნის მაგიერად დათესეთ ხორბალი, ქერი,
სიმინდი და ნიადაგს გამოაღებინეთ ყველა
გვარი მცენარეული სიმდიდრე. ჯოგი გაიჩი-
ნეთ და გამარაღეთ, შეიძინეთ მათგან კარგი
თვისების მატყლი ბლომად. სოდნა და ძალა
ნამდვილი სიმდიდრეა. **თუ** ჩვენ საქმეს ისრე
წყაიყვანთ, როგორც რიგია, მაშინ ის მოგი-
ტანს ჩვენ ყველას უხვად, რაც კი საქირაა
საქმლისთვის, სამოსისთვის, კარც ცხვარების-
თვის და თითქმის სიმშვენიერისათვისაც კი.
მე ძალიანა მსურს, რომ ჩვენში მოღაღთ შე-
მოვიდეს ჩალის ქუდები განიერი ნაპირებით,
რადგანაც შესაშენიცი და სიმრთელისათვისაც
სასარგებლო არის. შევლაზედ უმეტესად ხა-
ლხის სიმრთელი და კეთილ დღეობა არის
ჩვენთვის სასურველი. მკადეთ, რომ თქვენ
მეურნეობაში არ გამოილიოს ქათმები, ხბო-

ები და წიწილები, რომ მუდამ გოკის ხორცის ხმარების მაგივრად, ისინი იხმაროთ საზრდოდ. შეპკრიბეთ წიწებნიდამ ყველა გვარი სასარგებლო ცნობა თევზების შესახებ, რომლებიც ადვილი მოსანელბელია, ისწავლეთ თევზების ჭერა და მოამზადეთ სუფრისთვის თავის კარტოფილით, ჭარხლით და მწენილით. მუ თქვენ კარგი თევზის მჭერაეები გახდებით, მაშინ გაიგებთ, რომ თევზი სხვა ყველა საქმელზეზედ ოთხ წილად იაფად დაგიჯდებათ. შეეღა ეს რჩევა შეგებნათ თქვენ, საქმოდ მოამზადებულნო ახალ-გაზრდა ქალებო. შთხარით ახალ-გაზრდა ყმაწვილ კაცებს, რომ თქვენ იმათგან არ მოითხოვთ თქვენი თავის შენახვას და რომ ყველა საქმეში თანა შემწე გაუხდებით მათ. ღარწმუნეთ ისინი, რომ თქვენ მათგან დაქორწინების მეტი არა გინდათრა. ახალ-გაზრდა ქალებო, ეცადეთ ახალ-გაზრდა ყმაწვილების საზოგადოებაში დაესწროთ ხოლმე, და გახდით მათგან მოსაწონი და შესაყარი. აცნობეთ, რაც შეგიძლიათ, რომ თქვენ სრული ნება გაქვთ მასზედ, რასაც მათგან ელით, რომ თქვენ გასურთ გახდეთ დედაბთ ისრავლთ შორის.

საოჯახო ცნობანი.

ხის ფოთოლის შეუძლიან ოციის ადგილი და იქიროს. ამარი სამი წლის წინადერთნემეცების ქვეყანაში სამსწლიწადს ზედიზედ მოსაიალი ძალიან ნაკლებად მოვიდა; ამის გამოიქაურე მემამულეები მრავალ გვარ ხერხსა და ოსტატობას ხმარობდნენ, რომ ამ უბედურებას როგორმე დახწვეოდნენ. შთიეობის გამო იმათ დაიწყეს ხის ფოთლის ხმარება და დაწმუნდნენ, რომ ხის ფოთოლი არა თუ უთიეობის დროს არის გამოსაყენებელი, არამედ თიეიან წელიწადშიაც გამოსაყენებელია საქონლის პატრონისათვის. რამდენჯერმე აქამეს ცხერებს საცდელად და დაწმუნდნენ რომ მუხისა და იფნის ფოთოლი სინოყიერთ და სიკეთით თიეას არ დაუეარდება, წიფლისა, ვერხისა და არყის ხის ფოთოლი კი თიეას დაუეარდება. აკაციის (ლობიოს ხეს რომ ეძახიან) ფოთოლი ძალიან კარგია და სინოყიერთ თიეას ედარება; მაგრამ იმის ფოთლები უნდა მოიკრიფოს ერთი წლის კლერტებისაგან, პატარ-პატარა კონებად შეე-

კრას და ისე გაიხმოს. აკაციის პარკები (სწორეთ ლობიოს პარკებსა ვეას) აგრეთვე ძალიან კარგი საქმელია საქონლისათვის. მკლდა თექვსმეტი გირვანქა აკაციის თესლი შეედარება სიკეთით ას გირვანქა თიეას. აკაციის პარკებს ალობენ როგორმე და ისე აძლევენ საქმელად, რადგან ხმელად მიციებული უფრო ძნელი მოსანელბელია. მითმა მემამულემ ოთხ ცხვარს მუდამ აკაციის თესლი აქამა, თითოს დღეში ორ-ორი გირვანქა, და სხვა ოთხ ცხვარსაც, აგრეთვე თითოს ორ-ორი გირვანქა თიეა; ამას შემდეგ რომ ცხრა თუ ათი კვირა გავიდა, აწონეს ის ცხერები და ნახეს, რომ თიეა ნაკამებს მოჰმატებოდათ წონაში ორმოცდა ხუთი გირვანქა, და აკაციის ლობიო ნაკამები კი ორმოცდა სამ გირვანქას იწონდნენ მეტს. როცა დაკლეს—ორივედგან თითო ცხვარი,—ნახეს რომ, თუმცა აკაციის ლობიო ნაკამს ცხვარს ცოტა ნაკლები ხორცი და ქონი ჰქონდა თიეა ნაკამს ცხვარზე, მაგრამ ხორცი კი იმას უფრო მეტი იყო (მაგარი) და მატულიც უფრო რბილი და სქელი ჰქონდა. ზოგ ალაგას თიეიან წელიწადშიაც ხმარობენ ხის ფოთლებს საქონლის საქმელად, ამასთან ეს კი, რომ ცალკე არა—არამედ თიეასთან არუფლს და უფრო მუხისსა და იფნისას, აგრეთვე ლობიოს ხისას (აკაციისას), *) რადგან ამ ხეების ფოთლი, ნაცადია, რომ უფრო ახლო მიემსგავსებთან სიკეთით კარგს თიეას. ჩვენშიანც ხმარობენ ხის ფოთოლს საქონლის საქმელად, მაგრამ უეჭველია ბევრმა მემამულემ არიის რა ხის ფოთოლს რა სინოყიერე აქეს; რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ რომელიც უფრო ნოყიერია, ის ფოთოლი იხმარონ ხოლმე. მუხისა იფნისა და თუ აქვთ აკაციისა, ამასთან თიეაში გარუფლი, რადგან ცალკე უფრო ცოტა სარგებლობა მოაქვს საქონლისათვის.

— მით ნემეცურ გაზეთში სწერენ, რომ მოტანტალე ხალხი **) კალიას საქონლის სა-

*) ლობიოს ხე (აკაცია) ჩვენში უფრო ქალაქ ალაგას მოდის ბევრი და სოფლად ვერც რიგად არ იზრდება. იმისი გაშენება ძალიან ადვილია: უფსევადე ხარობს, ოღონდ პირველში მიორწყვა ჰქონდეს საკმარი; რაკი იზარება ორ-სამ წელიწადს შემდეგ აღარაფთარ მოვლას აღარ ითხოვს პატრონისაგან იზრდება სწორად, რადილი იცის ნიშნული.

**) მოტანტალე ხალხის იმით ეძახიან, ვინც ერთ

ქმელად ხმარობსო, და როდესაც ცდილობენ ნდობა იმათ ისე უხარიათ, როგორც უხარიათ დათ ებრავლებს მანანას წვიმის მოსვლა უდაბნოში. მაშხმარი კალია ნოყიერებით ჭერს ედარება; ამის გამო ცხენისთვის ჭერის მაგიერობა შეუძლიან; გარდა ჭერის გვარი ნოყიერებისა, გამხმარ კალიას ის თვისებაცა აქვს, რომ ცხენს ხორცის კუნთებს უღონიერებს, უმაგრებს, და მომეტებულად არ ასუტებს და არ ამიმძებს. ძალიის ფქვილში, ცოტაში ბევრი ნოყიერი ნაწილები; ამის გამო სადც კალია ბევრი ჩნდება, იქაურებს შეუძლიანთ იმისი გამოყენება თიეიანთ სასარგებლოდ.

— მით ნემეცურ გაზეთში სწერია მეწველის საქონლის შენახვასზედ, რომელიც ღირსია რომ ყურადღება მიაპყროს ყველა ფურების პატრონმა. მით ნემეცების ქვეყანაში სიციხის დროს ფურებს მხოლო საღამოთი გამოარევენ ხოლმე საძოვარზედ და დილის რვა საათამდისა ჰყავსთ იქ; დილის რვა საათზე კი ისევ გრილ გომებში შეპრევენ ხოლმე და საღამომდის იქა ჰყავსთ უჭქელ-უსმელი. ამ გვარად შენახული ფურები ძალიან საღად და მშვიდად არიან და არცა შფოთავენ. შწინ იტონდნენ; დღისითაც აქმევენდენ. ხოლმე გომებში, მაგრამ ამისგან ფურები სულ შფოთავენდენ, ვერ ისვენებდენ და როცა საქმელს დაინაჰხადენდენ—ბლაოდენ და ბორგავენდენ. მხოლო კი ისინი აღარც შფოთავენ და უფრო კარგათაც იწველიან. რაღა ჩიჩინი უნდა, რომ საქონელს ის უფრო უხდება, რომ სიციხეში გრილ გომებში იყოს და ღამე კი—სიგრილვეში გარეთ—საძოვარზედ. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ გვარად შენახული ფურები სხვა სიკეთის გარდა კარგი თვისების ერბოსაც აძლევენ პატრონს, რადგან ღამე ჩახურებულ ნეხვზედ აღარა წვენან, —ამას (ესე იგი ჩახურებულ ნეხვზედ წოლას) ცუდი მოქმედება აქვს ფურის რძეზედაც და ერბოზედაც.

— ძროხების მოსაწველად კი წყლის მანქანა (მაშინა). მითს ამერიკელს მოუგონია ძროხის მოსაწველადი მანქანა. მს მოსაწველადი არ არიან დაბნეებულნი, და თიეიანთ სარჩოს საბადებლითა და საქონლის ფურებით ერთი ალაგდამ მერავ ალაგას გადადიან საცხოვრებლად. მს ხალხი ხენა თესვას არ მისდევს; სკოვირობს თიეის ფურკიანა და ჯოგებით, სხვათა შორის მოტანტალე ხალხი არიან; მოსუბი და სხვ.

წველავი ძალიან ხერხიანათ არისო მოწყო-
ლი. მაგრამ ოჯახობაში გამოსადვირ იქნება
თ არა იმისი შეძენა, ეს კიდევ საცდელია.
ჩრბონის სამეურნეო საზოგადოებამ გააკე-
ტებელს დიდი საჩუქარი მისცა, პენსიონიანი-
მ—ოქროს მენდლი და ახალი ანგლის
ზოგადოებამ სამეცნიერო მოწიბა დაუწე-
ა. მრთი ამერიკის გაზეთი ამბობს რომ ძრო-
ხი მაშინვე ეჩვევიან ამ მაშინით მოწველა-
თ. ხელით მოწველაზე იმით მოწველა უფ-
ო იამებათ ხოლმე. ძროხებსა. ეს იქიდან
ჩანს, რომ მინამ იწველიან, ძროხები არ ინ-
ხევიან. მაშინა როგორც კაცის ხელი, ისე
არ სწველის, არამედ სწოვს როგორც ხმა.
რთბაშათ ამ მაშინით ექვსი ძროხა იწველ-
ა. ამასთანავე ერთი კაცი საქმარა, რომ მა-
ქანას ხელი შეუწყოს ასე, რომ ერთ დღეს
რთი კაცი ასს ძროხას მოწველოს. ძროხები
სე იწველებიან, რომ ძუძუებში ოდნა რძეც
ღარა ჩნებათ; რძეში არა ვარდებარა, ოდნაც
რ იღვრება და უსარგებლოთ არ იკარგება.
ანქანას მოსაწოვები აქვს გაკეთებული. ეს
ოსაწოვი არის მასრების გეარი, რომელშიაც
უძებები შედიან-გადიან. იმდენს საწოვს გა-
კეთებენ ამ მანქანას. რამდენი ძროხის
ოწველაც ერთბაშათ უნდათ.

ხ ბ ო რ ე ბ ის ა ლ ზ რ და შ რ ა ნ ც ი ა შ ი
(ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი).

შრანციაში სხვა და სხვა დანიშნულების
ბზოს სხვა და სხვა ნაირად ზრდიან; ყველა
ქაული საქონლის პატრონები ძალიან ყურს
უდღებენ; პირველად, რომ ფურს ცუდი ყო-
ველთვის წმინდად ჰქონდეს, რადგან ხმა აღ-
ვილად მოიძულებს წონას, თუ წონის დროს
ენაზე უწმინდურება მოხვდა რამე, და მეო-
ხედ, იმას რომ ხმარებს მოაწოვონ ძუძუ,
ხოდესაც მოჰხვდებათ მაშინ კი არა—ყოველ-
თვის დანიშნულ დროს და არც ერთ დღეს
ამ დროს არ გადააცილონ. ხმარები ისე ე-
ვევიან ამ რიგზე წონეს, რომ თავინთ წო-
ენას დროს შეუტყდნოდ შეიტყობენ ხოლ-
მე. ზოგი ერთი ფური, მეტადვე თუ პირვე-
ლათაც ეყოლა ხმა, არ უშვებს თავისთან
ხმოს მოსაწოვად; ხშირად ეს იმხსვან წარ-
მოსდგება, რომ ფური წონის დროს ძუძუ-
ების ტყვილსა ჰგონობს, ამის გამო, როცა
კი ფური ჰქონაობს და არ უშვებს თავისთან
ხმოს, მაშინ ყოველთვის დიდი ყურადღებუ-

უწინავეც ცურს, და თუ შეატყობენ რამე
ტყვილს, მაშინვე მოსარჩენ წამალს გაუკეთ-
ებენ ხოლმე, რაც უნდა იყოს იმ ფურებს,
რომელნიც თავისთან ხმოს არ უშვებენ, არა-
ოდეს არ მოექცევიან სასტიკად: ცემა-ტყე-
პით,—მაშინ იმათი პატრონები დაუწყებენ
ლოლიობასა და მოფერებას, თითქოს ცხე-
წებიან, რომ ხმოს მოაწოვოსო. მეგრეჯერ
ამისთანა მოფერებით მოქცევის შემდეგ ხმა-
მიუტარებელი ფური კეთილ დედად იქცევა
ხოლმე და საწონენლად მიუშვებს ხოლმე
ხმოს.

თუ საკლავად უნდათ ხმა, მაშინ იმას ბნე-
ლა გამში ინახავენ, სადაც ჰაერი ცოტათი
მუშაობს. სინათლე სისხლის მოძრაობას აძ-
რიელებს და ამის გამო წკლის-მბადესა და ნა-
ხშირის-მბადეს, რომელნიც სიმსუქნის ნა-
წილები არიან, ბევრს ანთქევიებს, წმინდა
ჰაერიც მყავის-მბადეს ბევრს აძლევს ფილტ-
ვებს და ეს ბევრი მყავის-მბადის შესუნთქვი-
საგან ისიც სიმსუქნის ნაწილები ინთქევიან
მომეტებით და ამის გამო ხმა ძალიან არ გასუ-
ტდება ხოლმე. ამას გარდა ხმა უნდა მოსვენ-
ებით იყოს; რამდენიც მოსვენებით იქნება, იმ-
დენი უკეთესი იქნება იმის გასუტებისთვის.
ხმარებს საქმელად გარდა რძისა პურის ცო-
მის ლუქების აძლევს, თითო ლუქმას მტრე-
დის კერძების ტრალას. (ცომა ყველა გეარი
ფქვილისა უფარებს); ჯერ იმ ცომის ლუქ-
მებს თბილ-თბილ რძეში ამოავლებენ ხოლ-
მე და მერე ისე აკმევენ. ამ ლუქმებს ჯერ
პირველად თითო ქმეაზედ სამ-სამს აძლევენ;
და მერე რაკი ხმა უფრო და უფრო წამო-
იზრდება—მოუმატებენ ცოტა ცოტას; და ათ
ლუქმას კი აღარ გადააცილებენ ხოლმე. ამ
გეარად კმეული და მოცილილი ხმოს ხორცი
ძალიან ჩინებული რამ არის და ძვირათაც
ისყიდება. მაგრამ ესეც კი უნდა ესთქვათ,
რომ ესე გაზდილი ხმარები საშენებლად და
საყოლად არ იყარგებენ; იმათ არ შეუძლი-
ანთ ბალახის ჭამა, და აუღმყოფი და უღო-
ნო გამოდიან, თითქოს მათი უფრო

რომელი ხმაც საშენებლად უნდათ, იმას
კი სულ სხვა ნაირად უედიან: ნათელ გომ-
ში ჰყავსთ, სადაც წმინდა ჰაერი კარგა მუ-
შაობს და ამასთან ცდილობენ, რომ ხმოს თავ-
ვისუფალი მოძრაობა შეეძლოს. სამ თვემდის
მარტო რძეს აკმევენ (დედას აწოვებენ); სამ-
თვეს უკან კი ცოტა-ცოტა სხვა საშენებლად

აძლევენ ხოლმე, იმისთანა საკმელს; ცხე-
მელიც შემდეგში საშენებლად საკმელს გაუ-
დება. ზოგმა იცის, ცოტა რძეს მოაწოვებს
და ზოგსაც ფქვილის სალოფას გაუკეთებს,
ან რძეს ნალებს მოხდინა და ნალებ-მოხდინის
აკმევენ ხმოს,—ეს ორივე ღონის-ძიება ძა-
ლიან მაწყინარია ხმარებისთვის, რადგან ასუ-
სტებს და ჯანს უყარგავს იმათ.

ხან და ხან მოხდება ხოლმე, რომ ფური
იმდენ რძეს არ იძლევა, რომ საკმარი იყოს
ხმოს გამოკვებისთვის, ან არა და ცუდი თი-
სების რძეს იძლევა—მაწყინარს; მაშინ ხმოს
სხვა ფურის რძითა ჰკვებენ, თუ ეს შესაძლ-
ებელია, და თუ არა—თივის ჩაის ასმევენ. რა-
მდენიც ხმა მოზრდილია, იმდენი უფრო მე-
ერი ჩაი მოუწდება, და რამდენიც თივა კარ-
გია იმდენი უფრო ცოტა ეყოფა: ყოველ-
თვის კი ისა აქვსთ მხედველობაში, რომ ხმომ
წყლით არ გაიბეროს მუცელი იმის მოსამ-
ზადებლად იღებენ ათ გირეანქა თივას და ათ
ბოთლ წყალს და ამ გეარად იქცევიან: აღუ-
ლებენ ათ ბოთლ წყალს, მერე შიგ სდებენ
ორ გირეანქა ნახევარ თივას; ათ მინუტს (წამს)
აუცილიან და მერე ისე გამოსწურენ თივას, რომ
წყალი აღარ დარჩეს შიგ; მერე კიდევ წამო-
აღულებენ იმ წყალს, ჩასდებენ შიგ კიდევ ორ
გირეანქა ნახევარ თივას, და აუცილიან ათ წამს,
მერე სწორებენ და ამ ნაირთ ოთხჯერ წამო-
აღულებენ; მანამ ათი გირეანქა თივა გამოი-
ალევა, (ათ გირეანქაში ოთხჯერ ორ გირეან-
ქა ნახევარია). ამ თივის წყალს (ჩაის) სწორ-
ევენ ტილოში და ნელთბალს ჯერ რამდენ-
სამე ხანს რძით ასმევენ ხმოს და მერე კი
ურძეთ.

როგორც რძე ნაკლები ფური არ იყარგებს
ხმოსთვის, აგრეთვე ბევრი ან სქელი რძიანი
ფურიც მაწყინარია; როდესაც ფურს ბევრი
რძე აქვს ხმოს მაშინ ადვილად შეუძლიან იმ-
დენი მოწოვოს, რომ კუჭი დაიძიმოს; ამის-
გან იმას დაემართება ყვანა, რომელიც ძნელი
მოსარჩენია. ამ შემთხვევაში ამ გეარად ექცე-
ვიან ხმოს; მოაწოვებენ ჯერ სულ ხსენს, და
როცა წმინდა რძე დაწყებს დენას, მაშინ მო-
სწველენ სამ ძუძუს და მეროთეს კი ხმოს მო-
აწოვებენ; თუ ეს არ ეყოფა, მაშინ იმდენს
მოსწველენ რძეს, რომ ნახევარზე ცოტა ნა-
კლები დარჩეს ცურში; ერთ კვირას შემდეგ
ნახევარზე მეტს არ მოსწველენ; ნახევარს კი
ხმოს მოსაწოვებლად დაავლებენ; მესამე კვი-

რას მეოთხედს მოსწველონ და სამ მეოთხედს კი ხბოს შეუნახენ, და თვის ბოლოს, როცა გზას კუჭი გაუმაგრდება (გაულონიერდება), მაშინ სულ აღარა სწველონ, სულ ხბოს აწოვებენ. **მ**უ გაფრთხილებამ ვერა უშველს რა და ხბოს მიანც ყვანა გაუჩნდა, მაშინ ხბოს შემდეგ წამალს აღევენებენ: ორ მისხალ და მწვარ მალნეზიას (აფთეპაში ჰყიდიან) ჰყრიან ნახევარ ბოთლ წყალში, ჰყოფენ ორად და თითო ნახევარს ნახევარ საათში ერთხელ ასმევენ; ამ ნაირად ორ სამ დღეს უწამლებენ ხლომე ხბოს. **მ**უ მალნეზია არ იშოვება, მაშინ იღებენ ერთ კვერცხს, სტებენ, იმას მიუმატებენ ორი ან სამი სხვა კვერცხის ნაჭუჭს, ჰნაყვენ ამ კვერცხსა და ნაჭუჭებს ერთად ფილში და ამ წამალს დლით და საღამოთი ასოიენ ავადმყოფს ხბოს. ამ წამლობის დროს ხბოს ამევენ ქერით წამოდულებულ წყალს.

ა ვ ა ჯ ი ხ ო ზ ე .
(წამლევი. მოთხრობა.)

ამ სახით, როდესაც გააძლი ის და დაძინა, მიჰყურ ხელი მეორესაც და მოუშალა იმასაც დროებითი ქვეშ საგები მღვდლის ტანსაცმელისაგან, და მანამ ის იმეებს დაასრულებდა, მღვდელი მოუყვია იმას წვრილათ, თუ რა რიგად იპოვნა ის ყმაწვილები თხრილში. ანუ რა რიგათ ჰქონდა ნანდერძები დაჭრილის და იმათ სახლში შეპყრობილის სტუმრისაგან.

— **მ**ე ყველა კარგი და კეთილი საქმეა, მაგრამ მე მიანც არ მესმის კიდევ, თუ როგორ უნდა ეიცხოვროთ ჩვენ და ან ეგენი გამოეზარდოთ.

მაშინ მღვდელმა გაშალა სახარება და წაუკითხა „ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ ივინი შეიწყალონ“.

მორამეტმა წლოწამდა გავლო ამის შემდგომ, და მღვდელი წმინდა პეტრეს ეკლესიისა, რომელიც იმ დროს იყო სამოცდა ათის წლისა; იჯდა ერთხელ მზეში და თბებოდა თავისი ქოხის მახლობლად.

მრთს გვერდზედ უჯდა პატარა, თორმეტი წლის ბავშვი, რომელსაც უკითხავდა სახარებასა და გარდახდამდა ხლომე ხშირად მეორეს თექვსმეტის წლის მრთელს თეთრ ყირაშის ყმაწვილს, რომელიც საკუთრის ხალისით და სიყვარულით მუშაობდა პატარა ბაღში, რომელიც ეყუთენოდა მღვდლის სახლსა, და

მეორეზედ დაბრმავებული მარგარიტა, რომელიც დიდის სიყვარულით და ერთგულებით უღვდებდა ყურსა სახარების კითხვას.

მცებ გაიგონეს კარეტის ხმა, რომელიც მოდიოდა პირდაპირ მღვდლის სახლისკენ, და როდესაც შენიშნა პირველმა ყმაწვილმა, ხმა მალდა დიძახს: აი, მამაო, შეხედეთ რა მშვენიერი კარეტა მოდის, და მოდის პირდაპირ ჩვენის სახლისკენ!

მართლად, ის მშვენიერი კარეტა მოვიდა და გაჩერდა მღვდლის სახლის წინ. მდიდრულად ჩაცმული მოსამსახურე, რომელიც იჯდა კარეტის უკან, მარჯვით ჩამოხტა გვიპყიად, მივიდა მღვდელთან და სთხოვა ბატონის მაგიერად ერთი სტაქანი ცივი წყალი.

— **მ**არლო! შეპყვირა უმცროსს ყმაწვილს მღვდელმა, დაუსხი ეხლაე ერთს სტაქანზე წყალი და მეორეზედ ლეინო; იქნება იმ ბატონს სურდეს წყალ-ლეინის შირთმევა; აბა საჩქაროთ?

მმ დროს ბატონმაც ვალო კარეტის კარი და გადმოვიდა. ის იყო ორმოცდა ათის წლის კაცი, ტანათ მალალი.

— **მ**სენი უთუოდ თქვენი დისწულები უნდა იყენენ? უთხრა იმან მღვდელს, მიუშვირა რა ხელი ორს მშვენიერს ყმაწვილებზედ.

— **ა**ბა, ბატონო, უთხრა მღვდელმა, უფრო მახლობლენი არიან, ვინემ დისწულნი; ეგენი არიან ჩემი შვილები, — სეც იგი ჩემი ნაშვილებნი.

— **ა**ბა რა რიგად ნაშვილები, უთხრა სტუმარმა; გთხოვ თუ შეიძლებაოდეს მიაშობა დაწვრილებით.

— **მ**არგი, მე თქვენ წვრილათ მოგაცივებით მაგათ ამბავსა, უთხრა მღვდელმა, ამისთვის უფრო, რომ ჯერ ერთი, მოხუცებული ვარ, და მეორე საწყალი და გამოუცდელი, იქმნება თქვენ მიჩენვით გზა; მომეცით რამე კეთილი რჩევა, თუ რა რიგად ეიზრუნო მაგობლების ბედნიერებისათვის.

და მოუყვია აქ მოხუცი სრულს ისტორიას, თუ სად და როგორის სახით ისინი იმას ჩააბარეს.

აბა რას მირჩევთ ახლა, ჰკითხა იმას მღვდელმა, როდესაც დაუსრულა სრული ისტორია.

— **მ**ე გირჩევთ, მისცეთ ეგენი კორალოს ლეარდიაში, და შესაფერის მაგათის გამოზრდისათვის იქა საჭირთა თითოს ჰქონდეს ოთ-

ხი ათასი ლუკათი წელიწადში (დღევანდის ნის ფულია, მანეთზედ მტრი).

— **მ**ე გთხოვ, ბატონო, რჩევას და არა მხოლოდ, უთხრა იმას მღვდელმა.

— **მ**ეორეც ესე განაგრო სტუმარმა, ჰკითხა, რომ განახლოთ თქვენი ეკლესია და გარემეო შემოარტყათ ჩინებული რეინ მოჯარო; აი, მგონია მე ჯიბეში მიძევს ბლანი, თუ რა რიგად უნდა გაკეთდეს ეს ყოველივე; აბა გასინჯეთ, როგორ მოგეწონება და შეიძლება, თუ არა მერე დაერქვას მაგ კლესიას, სტაქან-წყლის ეკლესია?

— **მ**მარა ბატონო, მაგდენი ზემოდა, უნდა კიდევ უქმყოფილებით მღვდელმა; ბოლოს ჩაატყარა თვალეში, და რაღაც სიმაჩარიედა წარმოუდგა სახეც და ხმაც იმის მოავანდა, რომ ნაცნობი იყო. **მ**მ მტერთ დამიბრუნე გულის ყური და შემაგანე, თრას ნიშნავს ეს ყოველი, სთქვა ბოლოს.

— **მ**ს ნიშნავს იმას, მიუფო სტუმარმა, რომ მე ეხლა ვარ — დონ ხოზე რიბეირა, და თორმეტის წლის წინეთ ვეყავი წმინდა ავახა ხოზე, გაპარული საპყრობილიდან, მაგრა დროებამ შესცვალა ყოველივე, და ეხლა მე შევიქენ პირველ კაროლის სარდლათ ლაქრებისა. **მ**უ მე ცოცხალი ვარ ახლა, ამის მიზეზი ხართ თქვენა; იყავით აქამომდე მშობლების მაგიერი ჩემის შვილებისა. **მ**მ შეილებო, ვესძახა ბოლოს ორთავე ყმაწვილებს აბა, მოდით, ჩაყარით თქვენს მშობელს მამას მაგრათ გულში! მაშინ თვალთ ანიშნით მღვდელმა და ისინი მსწრაფლად მისცვიდნენ და ჩახუტუნენ გულში მამას.

ღიღან ჰკოცნიდა მტხარეთ მამა, ხან ერთ და ხან მეორეს, და ღვრიდა იმათ მშვენიერ ყმაწვილს სახეზედ სიხარულის ცრემლსა, რომელშიაც ენოდა ცრემლი იმისის ორის ვეჭისა, რომელთაცა ისინი აფრქვევდენ მამა უბეში.

მერე გაუბრუნდა მღვდელსა, ჩამოართვი ხელი, მიიკრა მავრათ გულში, მოცხვია, და კოცნა და უთხრა: — ჩემო სულიერო საყვარელო მამემ! შეითხავთ კიდევ განმეორებით თანახმა ხართ უწოდოთ სტაქან-წყლის ეკლესია? **და** დანარჩენი თქვენის სიცოცხლისა დაასრულოთ იმ მიღარს სახლში, სადაც მიგეღისთ თქვენ ბატონი, ღირსი თქვენის კეთილ-მოქმედებისა, ღვთის მოყვარებისა და სტუმართ მოყვარებისა ერთად თქვენის მოხუცის მეუღლის მაგარაიტათი?

დღელი მიუბრუნდა ცრემლიანს მარგა-
ტას, უყურა დიდ ხანს მწუხარებისა და სი-
ძიბისაგან გამქრალს თვალებში, გამოარ-
ბოლოს ძარღვსა სახარება, გარდაშალა
წაუთითა კიდე: „ნეტარ იყენენ მგლოვა-
ნი გულითა, რამეთუ იგინი ნუფემინის
წელ იქმნენ!“ მარგარიტა იმ ჟამს დაჰკა-
ნიჭი ლაპარაკისა და სიხარულით იღგა
ტყუათ, როგორც სტატუა.

მართის წლის შემდგომ, ხოზე რუბიერი და
იმისი შვილი დაესწრნენ, როდესაც აუ-
ტის გამშვენებული ეკლესია წმინდა პეტ-
რის, წოდებული ეკლესიად სტაქან-წყლისა
რომელიც არის ეხლაც ერთი უპირვე-
ლი და უმშვენიერესი ეკლესია სვეიცის
მარეში.

რეზუმის ქიის ავთომაფობის
გ ა ნ ხ ი ლ ე ა .
(დასასრული).

ნამ ნამდვილს ავთომაფობის მიხეზს შე-
დბდნენ, ხალხი ხან რას აბრალებდა და
რასა აბრეშუმის წახდენას. ზოგი ამბო-
რომ მოუელელობის და უყურადღებო-
ბგან ჰხდებდა აბრეშუმის ქია; ზოგი ამბო-
რომ თუთა წახდა, მიწის მოუელელობი-
და უნაყიერობისაგან, თუთა ვერ ისხამს
გებს ფოთოლსაო, ისა, სწყენს ქიას და
შეშოიცი იმისგან ჰხდებოა. მეცნიერებმა და-
გამოძიებმა ქიის ავთ-მაფობის მიზე-
და აი, რა შეიტყუეს: აბრეშუმის თესლი-
ნ გამოსულს ქიაში და ჰველაშაიაც კაცის
ლისაგან შეუწინავენი წერილმანი სხეულე-
გაქენილი, რომელნიც თვით აბრეშუმის
ში იბადებიან რჩებიან იმისი ტანითა და
ელდებიან. ამ რიგათ ისინი ართმევენ სი-
ცხლეს აბრეშუმის ქიასა. სწ-ველუნი, რო-
მელიც შესდგომიან აბრეშუმის ავადმყოფო-
შეტყობასა ორ მხარეთ განიყოფებიან;
თი მხარე ამბობა, რომ ის წერილმანი სხე-
ციხველთ გვარიაო, მეორე ამბობს, რომ
ნარეთ გვარია. რასა კვირველია, მეცნიერე-
თის დიდი საჭიროა იმის შეტყობა, თუ
გვარის არის აბრეშუმის ქიაში ნახული
ბა; ჩვენთვის კი სულ ერთია. ბინდ ცხო-
თი გვარი იყოს, გინდ მცენარეთ გვარი
რეშუმის ქიის მომაკვდინებელი არსება.
დღეს არია, რომ აბრეშუმის ქიის ტანი გა-
ბა ხოლმე ამ პატარა არსებებითა, ისინი

იღებენ საზრდას ქიის სხეულიდგან და ამ
ნაირათ ჰკვლენ იმას.

ჩვენთვის კიდე უფრო საცოდნელი ის
არის, რომ ორივე მხარე სწავლულებისა ერთ
გვართ აბტიცებენ, რომ ის მომაკვდინებელ-
ნი არსებანი ქიას შეყოლებული აქეს საქმ-
ლიდგან და რაკი ერთხელე ტანს იმ განდ-
დება ეს ავთომაფობა, შემდეგ თესლიც დაზი-
ანდება და მაშ ავადმყოფობა სამკვიდროა
და ძალიან გადამდები. მართა სწავლულმა შე-
ამცნია ავთომაფოს ქიის სტომაქში ორ გვა-
რი არსება, რომელთაგან ერთი ძალიან პატა-
რია, ასე რომ თუ ძალიან გამდიდრებელი
მინით არ განიხილა კაცმა, ისე ვერ დანა-
ხავს იმას. ბეშანის აზრით ეს არსება ჰაერში
უნდა დასტურადვესო და იქიდან უნდა ემარ-
თებოდეს ქიასაო. მეორე სწავლული კაცო
დე-მონშიც ამ აზრის არის. დე-მონშიმა გა-
ავლო წყალში რამდენიმე თუთის ფოთოლი
და ნარეცხს წყალში შენიშნა ორივე გვარი
არსება, დიდიცა და პატარაცა. ეს არსებანი
იმისთანა თუთის ხეების ფოთოლსა ჰქონდა,
რომელნიც გზის მოშორებით იყენენ და რო-
მელნიც იდგნენ მაღლობზე და ყოვლის მხრით
ქარი სცემდათ. თუ ეს გამოკვლევა მართალია,
მაშინ უნდა დარწმუნდეთ, რომ დიდი წმენ-
და და მზადება დასჭირდება ქიის საკვებს ფოთ-
ლებსა. —

სწავლულების დაფათ და თან ნათლად
გვარწმუნებს იმაზე, რომ ქიის სტომაქში
მყოფნი არსებანი არიან თვალით დაუნახავი
სოკოები და ეს სოკოებია აბრეშუმის წამა-
ხდენელი.

ახლა მოვიხსენოთ ის დარიგება, რომლის
შემწეობითაც ქია თუ ვერ მორჩება ამ ავთ-
მყოფობისაგან, მრთელს აბრეშუმს იპტიცებს
მაინცა იმ სოკოს ენებისაგან. რაც აქამდის
საშუალება უხმარიათ, სულ იმ განზრახვით
ყოფილა, რომ უზიანო თესლი მოიყვანონ
და ავთომაფობა არ იქმნეს გადამდები.

შველას სჯობია პასტერის დარიგება.

1 თუ ქიებში პატარა-პატარა არსებებია გა-
ჩენილი, უნდა დარწმუნდეს კაცო, რომ ქია
ავთომაფობა. რაც ადრე გაუჩნდება ქიას სო-
კო, იმდენათ უფრო მძიმეთ მოცილება ხო-
ლმე ავთომაფობა და არ გადარჩენს. თუ
მესამე კანის გამოცვლის შემდეგ გაუჩნდა
ქიას სოკო, იმას არა უჭირს რა; პარკსაც გვი-
კეთებს და ჰველებსაც ძალიან არა აქეს სო-
კო დამარბებელი.

2). სოკო დაუმართებელს ჰველებს მუ-
დამ მრთელი თესლი მოაქეთ. თუ ავთომაფობა
მძიმეთ ავთომაფობი არ არის, ის მრთელს თე-
სლსაც დაჰყრის. მძიმეთ დაზიანებული ჰვე-
ლა სოკოებიან თესლსა ჰყრის. მაშ ავად-
ყოფობა სამეკვიდრო ყოფილა.

3) ზემოხსენებული პატარა სოკოები ძა-
ლიან ედება ქიას. სოკოიანი ფოთოლი რომ
დაუფირო ქიას, მაშინვე ავთ გახდება, ავთ-
მყოფის ქიის განავლიც სოკოიანია. მაშ ავთ-
მყოფი ქიები გადადებენ ხოლმე თავის ავთ-
მყოფობას მრთელს ქიასა. ეს ავთომაფობა
სამეკვიდროა და საქმელდგანაც დამეცობება.

პასტერი ურჩევს, რაც შეიძლება მრთელი
ქიის პარკები შეინახონ სათესლეთ, რომ იმა-
თი თესლი დაზიანებული, ესე იგი სოკოიანი,
არ იყოს. აი, როგორ უნდა აირჩეს პარკები:
რომელიც გასასინჯავი აბრეშუმია, იქიდან აი-
ღებენ რამდენსამე პარკს და თბილ ოთახში
დააწყობენ; აქ უფრო მალე გამოვლენ ჰვე-
ლები, რადგან უფრო თბილა. მიკროსკოპით
(გამდიდრებელი შუშა, რომელიც რწყილს წი-
წილას ოდნათ გამოაჩენს) აი ამ მიკროსკო-
პით, რომ განიხილოს კაცმა ჰველები, მაშინ-
წვე დარწმუნდება, ვარგან თუ არა სათესლეთ;
თუ ძალიან მორეთული აქეს ამ ჰველებს ავთ
მყოფობა, მაშინ ის პარკები, სადგანაც აუ-
ღიათ საველვე პარკები, უნდა მოახრჩონ. შე-
მდეგ თვალ-ყური უნდა ადევნოს დედალ-მა-
მალი ჰველების ჰველვას და იმათ კევრცების
დებას. მითოეთული დედალ-მამალი ჰველა
და იმათი კევრცები ცალ-ცალკე უნდა აგრო-
ვიონ. შემდეგ მიკროსკოპით უნდა განიხილონ
ეს ჰველები და ამათი შიგნეულობა. რომე-
ლიც არ არის სოკოიანი, იმათი თესლიც მრ-
თელი იქნება. აი ამისთანა ჰველების თესლი
უნდა შეინახოს აბრეშუმის მოსაყვანათ და
მოყვანის დროს დიდი სივაქიზით და სიწმი-
ნდით უმართებსთ მებარაშუმეებს იმათი მო-
ვლა. თუ აბრეშუმის მოყვანი დამარხავს
ამ დარიგებებს, რასაკვირველია, ავთომაფო-
ბაც მალე მოისპობა. ჩვენში ზემოხსენებულს
დარიგებებს ვერ ასარულებენ; მაგრამ რომ
ვიცოდეთ, თუ აბრეშუმი რითი განთავისუფ-
ლდება ავთომაფობისაგან, მაინც კარგია.
თუ აბრეშუმი ამ დარიგებით გავეთდა სახლ-
ვარს გარეთ, ექვი არ არის, ჩვეწაიცი მოისპო-
ბა აბრეშუმის ავთომაფობა, ამიტომ რომ
შეიძლება კაცმა მოიტანოს კარგი თესლი

სახლუკარს გარეთიდგან დაძალიან წმინდათ და ფაქიზათ მოუაროს მოყვანის ღროს.

არითმეტიკა.

რიცხვი ცხრა

8 ღილს ერთს კიდეე მიუმატებ; ახლა აქ ცხრა ღილია. ცხრა ღილი რითაა მეტი რვა ღილზე? როგორ იწერება ცხრა?—აი ასე: 9. 9 8-ზე რითაა მეტი?—

წილებს დაწყება რიგ-რიგათ; ჯერ თითო მწკარი ორ-ორ ხვეისგან უნდა იყოს შემდგარი.

- 8 და 1
- 7 და 2
- 6 და 3
- 5 და 4
- 4 და 5
- 3 და 6
- 2 და 7
- 1 და 8

ახლა სამ-სამი ხვეია თითო მწკარში.

- 7, 1 და 1
- 6, 2 და 1
- 5, 3 და 1
- 5, 2 და 2
- 4, 3 და 2
- 3, 3 და 3

ახლა ოთხ-ოთხი თითო მწკარში.

- 6, 1, 1 და 1
- 5, 2, 1 და 1
- 4, 3, 1 და 1
- 4, 2, 2 და 1

რიცხვითი დამოკიდებულება ამ ხვეებს შორის უნდა წააკითხონ მოსწავლეს ან თითო თითოთ ან ყველა ყმაწვილებს ერთად. მსე იგი თითო მწკარში ორ-ორი სამ-სამი და ოთხ-ოთხი ციფრი უნდა წააკითხონ და შეაკრებინონ.

დაითვალე რამდენჯერ გავხაზავ ამ მელით ფიქარზე?—9-ჯერ. რამდენი ხაზი გამოვიდა? 9.—მაშ 9-ჯერ 1 ხაზი რამდენია?—ახლა ერთჯერ 9 რამდენია? დაითვალე ახლა რამდენი ხაზი გავაღებ?—3. იმის ქვეშ კიდეე 3 ხაზს გავაღებ—და ამის ქვეშ კიდეე 3 გავაღებ.—რამდენი წყობაა? და თითო წყობაში რამდენი ხაზია? ახლა სამივე წყობაში რა-

მდენი ხაზია?—მაშ 3-ჯერ 3 ხაზი რამდენია? ამ ცხრა ხაზიდან რამდენი შემძლიან წაეშალო თითო-თითო? სამ-სამათ რამდენჯერ და შეიძლება? ცხრა—ცხრათ რამდენჯერ შემიძლიან წაეშალო? 1 ხაზი 9-ში რამდენჯერ იმყოფება? 3 ხაზი 9-ში? ნიკო, 3ა შენ 9 ქვა, შენ პეტრე 3ა, 1 ქვა; ნიკოს რამდენჯერ მეტი აქვს პეტრეზე?—მაშ პეტრეს რამდენჯერ ცოტა აქვს ნიკოზე? პეტრე კიდეე ორ ქვას მოგცემ, აბა მითხარი ახლა რამდენჯერ ცოტა გექნება ნიკოზე? ერთი ქვა მერამდენე ნაწილია ცხრა ქვისა? 3 მერამდენე ნაწილია 9?

მოაწაფე 7 წლისა; რამდენის წლის შემდეგ გახდება 9? დაძმა ცხრა წლისანი არიან, ძმა 6 წლისა, და რამდენისა იქნება? ერთს გლებს კაცს 9 ხის დარგვა უნდა თავის ბაღში, 5 დარგო, 9-მდის რამდენი უკლია? მათ სოფელში 8 ქვითკირის შენობა იყო, 6 დაქცა, რამდენი დარჩა? ხეს 9 ვაშლი აბია. ივედორემ ჩამობერტყა და ჯერ 3 ვაშლი ჩამოვარდა, მერე 2, ხესელ რამდენი დარჩა? მათამს 9 წილია ჰყვება, ორი ქორმა მოსტაცა, ორი კატამ, რამდენილა დარჩა?

სანდროს სამი სამკავეტიანი მისცეს, რამდენი კავეტი მიუტიათ? მაშას 9 ნემსი აქვს, იმის დას 3-ჯერ ნაკლები და ერთი კიდეე, რამდენი ჰქონა? 2 სამ-კავეტიანი, 1 ორ-კავეტიანი და 1 კაბ. რამდენი კავეტი იქნება?

მასწავლებელმა უნდა აიღოს სამი თანასწორი ჯოხი და ერთი სამათ უნდა გაჰყოს, მეორე ექვსათ, მესამე ცხრა ნაწილით. ამასთანავე მასწავლებელმა უნდა აჩვენოს მოწაფეთა ისიცა, როგორც უნდა გაყოფა, მერე უნდა შეათანასწორებინოს: $\frac{1}{9}$ $\frac{1}{6}$

ერთი მეცხრედი, ერთი მეექვსედი,

და $\frac{1}{3}$ $\frac{3}{9}$ $\frac{2}{6}$ და $\frac{1}{3}$

ერ. მესამედი. სამი მეცხრედი. ორ. მეექვსედი. ერ. მესამედი.

$\frac{6}{9}$ $\frac{4}{6}$ $\frac{2}{3}$ $\frac{9}{9}$

ექვ. მეცხრედი. ოთ. მეექვსედი. ორ. მესამედი. ცხ. მეცხრედი

$\frac{6}{6}$ და $\frac{3}{3}$

იმისი მეექვსედი სამი მესამედი.

|| | | | | | | = 9
9=8+1, 7+2, 6+3 და სხვ.

8=9-1, 7+1, 6+2 და სხვ.
7=9-2, 8-1, 6+1 და სხვ.
6=9-3, 8-2 და სხვ.

9=9 X 1, 3 X 3
1= $\frac{1}{9}$ X 9 ერთი არის ერთი მეცხრედი ცხრა

რიცხვი ცხრა შეიძლება განიყოს 3 თანასწორ რიცხვათ=3+3+3.

4 თანასწორ რიცხვად და 1 უთანასწორ რით 2+2+2+2+1.

2 თანასწორ რიცხვად და უთანასწორ 4+4+1.

3 უთანასწორ რიცხვად. 2+3+4
2 უთანასწორ რიცხვად 4+5

3 X 3=3 X 2+2 X 3=2 X 4+7 რამდენია?
1 X 2+3+3=2=3+4 რამდენია?

9 რომ 9 გამოაკლო რა დარჩება?—არა რი. როგორ იწერება სიტყვა „არაფერი“?

ასე=0. ამ სიტყვას ფრანციულით ნ უ ე დახიან. ჩვენც „ნული“ დავარქვათ. ახ

წერით ასხენით ეს ტემები: 1-1=2-2
3-3=4-4=, 5-5=, 6-6=7-7

1: 1=5: 5=, 8: 8=9: 9=

9 არშინი რამდენი საყენი გამოვა?—ძავე რამდენი ორ-კავეტიანი გამოვა—რამდ

სამკავეტიანი, —რამდენი შაური? 9 მისხალ რამდენი ლოტია? ძატოს მისცეს ცხრა მწკ


ლექსი დასასწავლათ; თითო ღღეს სამ-მწკარს სწავლობდა, რამდენ ღღეს დასწავი

და ცხრა მწკარს? იმისმა ძმამ სამღღეს ცტ გვერი დასწერა, თითო ღღეს რამდენი

უწერა?—მკერავს მისცეს 9 არშინი ტომ საპერანგეთ, თითო პერანგს ოთხი არში

დასჭირდა, რა გადარჩებოდა?—ქქეს კავეტი რომ ცხრა კალამი იყიდოს კაცმა, სამი კა

მი რამდენათ მოვა?—ქქეს როგორლა მი



(შემდეგი იქნება).